

საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5-8-ე პუნქტები:

„5. პოლიცია უფლებამოსილია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან გამოითხოვოს და დაამუშაოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, თუ აღნიშნული აუცილებელია „იარაღის შესახებ“ ან/და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

6. პოლიცია უფლებამოსილია დაამუშაოს ადმინისტრაციულ ორგანოებში/საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, თუ აღნიშნული აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

7. საქართველოს კანონმდებლობით პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების აღსრულების მიზნით პოლიციასა და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის მონაცემების გაცვლისა და დამუშავების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

8. სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.“.

2. მე-60 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს „საქართველოს კანონმდებლობით პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების აღსრულების მიზნით პოლიციასა და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის მონაცემების გაცვლისა და დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 აგვისტოდან.